ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

თებერვალი, 2016

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI).

შინაარსი

შესავალი 2

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა 3

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი 5

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს წესები 6

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესები 7

ამერიკის შეერთებული შტატები 8

დიდი ბრიტანეთი 8

კანადა 9

შვედეთი 10

ესტონეთი 11

ბოსნია და ჰერცოგოვინა 12

კვიპროსი 13

სომხეთი 13

დასკვნა 14

შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას სახელმწიფოს მმართველობის მიმართ და წარმოადგენს ერთ-ერთ გარანტიას იმისა, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. მსგავს მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის არაერთ გადაწყვეტილებაში (Pretto&Others v Italy, Werner v Austria და Szucs v Austria). ამასთან ეუთოს კიევის რეკომენდაციებში აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (ნაწილი 3, სექცია 32) აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესები უნდა წარიმართოს საჯაროდ, ხოლო მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამის მონაცემთა ბაზებში ონლაინ. **სამართალწარმოების, მათ შორის სხდომათა საჯაროობის საკითხებს ეხება ადამიანის უფლებათა კომიტეტის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტიც, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლოთა მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხდომების ღიაობა, და იმ შემთხვევაშიც კი თუ კონკრეტული ინტერესის დაცვის (მაგ. არასრულწლოვანთა ინტერესები) მიზნით სხდომა დაიხურება სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.**

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, ბოლო პერიოდში, საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ. კერძოდ, 2015 წლის მიწურულამდე თბილისის საქალაქო სასამართლო მოთხოვნის შემთხვევაში, ყველა შემთხვევაში, სრულყოფილი სახით გასცემდა სასამართლო გადაწყვტილებათა ასლებს, თუმცა მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2015 წლის ოქტომბრიდან, **როდესაც დამკვიდრდა გადაწყვეტილებათა გაცემაზე პერსონალურ მონაცემების დაცვის არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა**. აღსანიშნავია, რომ არსებული მდგომარეობით თავად სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის (საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იყოს დაცული ბალანსი ერთის მხრივ სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობასა და მეორეს მხრივ პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის. მოცემულ საკითხთან დაკავშრებით არ არსებობს შეჯერებული პოზიცია არც იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომელთაც საკუთარი საქმიანობის განხორციელების პროცესში აქტიური შეხება აქვთ სასამართლო ხელისუფლებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, IDFI-მ გადაწყვიტა გაცნობოდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას. ქვემოთ წარმოგიდგენთ აღნიშნული შესწავლა-ანალიზის შედეგებს და შესაბამის რეკომენდაციებს.

დოკუმენტში თავდაპირველად წარმოდგენილი იქნება **საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა სასამართლო პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მხრივ**. შემდეგი თავი დაეთმობა **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტების განხილვას, რომლის შემდეგაც მიმოხილული**

იქნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში არსებული რეგულაციები. მომდევნო თავებში შეჯამებული იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისეთ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა როგორებიცაა: **აშშ, დიდი ბრიტანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, კვიპროსი, სომხეთი, ნორვეგია და კანადა**. ანალიზის დასასრულს წარმოდგინეთ IDFI-ის პოზიციას სასამართლო პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხზე და შემოგთავაზებთ შესაბამის რეკომენდაციებს.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გამტკიცებულია **საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი**. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, **სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე.** დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, **ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ**. მსგავს ჩანაწერს შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13 პრიმა მუხლი ადგენს **სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების სტანდარტებს**. კერძოდ მოცემული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა. **ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.** ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც მოცემული მუხლი პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე ადგენს შეეხება დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღების, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის აკრძალვას **მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.** შესაბამისად, ცხადია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, სხდომის ვიდო, აუდიო ჩანაწერის გავრცელება შესაძლებელია რაიმე სახის შეზღუდვის არსებობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას მხარეებსა და პროცესის მონაწილეებს დააყენონ შუამდგომლობა პროცესის დახურვის შესახებ. ამასთან მოსამართლე ვალდებულია პროცესის მონაწილეებს პროცესის დასაწყისში განუმარტოს მათი საპროცესო უფლებები და ვალდებულებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი განსაზღვრავს კონკრეტულად სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპს. სსსკ-ის 182-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, **სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად და საჯაროდ**. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ დახურვის შესახებ: (ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; (ბ) არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის მიზნით; (ბ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას; (4) სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით; (5) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის** მიხედვით, **სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს**. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. **ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის** პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, **ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი**. [1]

როგორც ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ საკონსტიტუციო სარჩელში მართებულად არის აღნიშნული: **„მართლმსაჯულების საჯაროობა არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლო სხდომის ღიაობას. ეს ნიშნავს მთელი პროცესის და მისი ყველა მონაწილის ქმედებათა გამჭვირვალობას მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას და მისი გაცნობისა და შეფასების უზრუნველყოფას. სასამართლო არა სხდომაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში სწორედ წერილობით გადაწყვეტილებაში უთითებს მთავარ არგუმენტებსა და დასაბუთებაზე. ხოლო გადაწყვეტილების გაცნობა და შეფასება საზოგადოებისათვის სწორედ მართლმსაჯულების კონკრეტული სუბიექტის პერსონიდან გამომდინარე შეიძლება იყოს საინტერესო.“** [2] ჩვენი მოსაზრებით, სწორედ აღნიშნულ მიდგომას ითვალისწინებს დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობაც და **სწორედ საქვეყნოობის პრინციპიდან**

[1] ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ საკონსტიტუციო სარჩელი http://constcourt.ge/ge/court/sarchelebi (სარჩელი #693)

[2] ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ საკონსტიტუციო სარჩელი http://constcourt.ge/ge/court/sarchelebi (სარჩელი #693)

გამომდინარე აწესებს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მაღალ სტანდარტებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობასა და სხდომათა ღიაობასთან დაკავშირებით არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. კერძოდ საქმეში *Pretto & Others v Italy* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ხაზგასმულ იქნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სხდომათა საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება ისეთი პრაქტიკა, როდესაც სამართალწარმოება სასამართლოში (administration of justice) მიმდინარეობს ფარულად, შესაბამისი საჯარო კონტროლის არარსებობის პირობებში. **გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას მმართველობის სასამართლო შტოს მიმართ** და წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ მიღწეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის უმნიშვნელოვანესი მიზანი - **სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვა**. მართალია, მოცმული გადაწყვეტილება საუბრობს ზოგადად სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობაზე, თუმცა არ აკონკრეტებს გულისხმობს ის მხოლოდ სხდომათა საჯაროობის პრინციპს, თუ უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცავდეს გადაწყვეტილებათა და დოკუმენტების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობასაც.

მოცემულ საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებები ეხება, როგორებიცაა *Werner v Austria* და *Szucs v Austria*. მოცემულ საქმეებში სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იქიდან გამომდინარე, რომ **მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა საკუთარი ვალდებულება ხელმისაწვდომი გაეხადა სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და ნაცვლად ამისა მასზე წვდომა მხოლოდ პირთა შეზღუდულ წრეს გააჩნდა.** სამართალწარმოების მათ შორის სხდომათა საჯაროობის საკითხებს ეხება ადამიანის უფლებათა კომიტეტის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტიც, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლოთა მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხდომების ღიაობა, და **იმ შემთხვევაშიც კი თუ კონკრეტული ინტერესის დაცვის (მაგ. არასრულწლოვანთა ინტერესები) მიზნით სხდომა დაიხურება სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.**

დამატებით აღსანიშნავია, რომ ეუთოს კიევის რეკომენდაციებში აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (ნაწილი 3, სექცია 32) **აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესები უნდა წარიმართოს საჯაროდ, ამასთან უნდა მოხდეს სხდომის ოქმების ელექტრონული საშუალებით ჩაწერა და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.** დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ **მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამის მონაცემთა ბაზებში ონლაინ.** აღნიშნული უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებთა ხელმისაწვდომობას რაიმე სახის საფასურის არსებობის გარეშე.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს წესები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის ისევე, როგორც სასამართლო სხდომების ღიაობის საკითხები მოცემულია სასამართლო წესებში.[3]

სასამართლო გადაწყვეტილებათა და სასამართლო კანცელარიაში დაცული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის საკითხს არეგულირებს სასამართლო წესების 33^1-ე და 47^1-ე მუხლები. კერძოდ 33^1-ე მოცემული მუხლის პირველი სამი პუნქტი ადგენენ სასამართლო კანცელარიაში დაცული ნებისმიერი დოკუმენტის ღიაობის საკითხს და აღნიშნავენ, რომ **ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი დავის მხარეების, თუ საქმეში ჩართული მესამე მხარეების მიერ, არის ხელმისაწვდომი, როგორც პროცესის მონაწილეებისთვის ისე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის.** დოკუმენტების ხელმისაწვდომობა შესაძლებელია შეიზღუდოს სასამართლო კოლეგიის პრეზიდენტის მიერ ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ **დოკუმენტებისა თუ მათი ნაწილის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს მორალის, საჯარო ინტერესის, სახელმწიფო უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა თუ კერძო პირთა ვინაობის დაფარვის ინტერესებიდან გამომდინარე**.

კონკრეტულად, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხს არეგულირებს 33^1-ე მუხლის მე-4 პუნქტი. მოცემული პუნქტის თანახმად სასამართლო უზრუნველყოფს ყველა მიღებული გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული ეხება ასევე **იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებშიც კონკრეტული შუამდგომლობის საფუძველზე დაფარულია კერძო მხარეთა სახელები და გვარები**. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული

[3] Rules of Court, 01.06.2015, ხელმისაწვდომია: http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf.

გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილია მათი შესაბამის ბაზაში - HUDOC გამოქვეყნებით. [4]

სასამართლო წესების 47[1]-ე მუხლი კი აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის დროს მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ვინაობის დაფარვა. როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, მსგავსი შუამდგომლობა **უნდა იყოს დასაბუთებული და ამართლებდეს, გადახვევას სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული სახით ხელმისაწვდომობის ზოგადი წესიდან**.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდება ზოგადად ადგენს სასამართლო სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების საქვეყნოებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს. წესდების 31-ე მუხლის თანახმად **ყველა სასამართლო სხდომა არის ღია**. სასამართლო პროცესი შესაძლებელია დაიხუროს და არ იყოს დასასწრებად ხელმისაწვდომი მედიისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მხოლოდ კონკრეტული საჭიროების არსებობის შემთხვევაში.[5] წესდების 37-ე მუხლის თანახმად, **სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ**. მოცემული მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისებს მოცმული წესიდან, შესაბამისად, ცხადია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სხდომა დაიხურება 31-ე მუხლის საფუძველზე, **საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ცხადდება ღია სასამართლო სხდომაზე**.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება შესაბამის ონლაინ ბაზაში.[6] ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ნებისმიერი დოკუმენტის ხილვა შესაძლებელია რაიმე სახის საფასურის გარეშე ნებისმიერი პირისთვის. ფართო საზოგადოებისთვის, მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ასევე უზრუნველყოფილია მათი მოკლე შეჯამებების გამოქვეყნება მოცემულ ვებ-გვერდზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადაწყვტილებების ხელმისაწვდომობისათვის ისეთი პროფესიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც არ არიან კავშირში იურისპრუდენციასთან, შესაბამისად, არ აქვთ სპეციფიკური ტერმინებისა თუ პრინციპების ცოდნა.

[4] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ონლაინ ბაზა, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/ .

[5] Art.31: 'The hearing in court shall be public, unless the Court of Justice, of its own motion or on application by the parties, decides otherwise for serious reasons', http://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2008-09/statut_2008-09-25_17-29-58_783.pdf

[6] http://curia.europa.eu/juris/recherche.jsf?cid=585243

ამერიკის შეერთებული შტატები

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისტორიულად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც სასამრთლო სისტემის გამჭვირვალობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტანდარტია დადგენილი. აღნიშნული ეხება როგორც სასამართლო პროცესების ღიაობას, ისე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კონკრეტულად სასამართლო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, თუმცა აღნიშნული გამომდინარეობს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი დამატებიდან, რომელიც ადგენს გამოხატვის თავისუფლებას.[7] ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე მოსამართლე ბურგერის მიერ მიღებულ იქნა საქმეში რიჩარდი ვირჯინიის წინააღმდეგ. მოსამართლემ დაადგინა, რომ **„პროცესი არის საჯარო ხასიათის მოვლენა. ყველაფერი რაც ხდება სხდომათა დარბაზში, არის საჯარო საკუთრება“.**

მართალია, სხვადასხვა შტატში დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის და სასამართლო სხდომათა ღიაობის დეტალური პროცედურები და სტანდარტები, თუმცა ქვეყნის მასშტაბით ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდება შესაბამი ვებ-გვერდზე.[8] გადაწყვეტილებები ქვეყნდება სრული სახით. ხელმისაწვდომია ასევე გადაწყვეტილებათა მოკლე აღწერები მედიისა თუ ფართო საზოგადოების სხვა წევრებისთვის. **გადაწყვეტილებები შესაძლებელია გაიცეს დაშტრიხული არასრული სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში და გამონაკლისის სახით, თუ დადგინდება ზოგადი გამჭვირვალობის პრინციპიდან გადახედვის აუცილებლობა კონკრეტულ საქმეში.[9]**

დიდი ბრიტანეთი

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ქვეყანას სადაც სასამართლო გადაწყვეტილებათა და სხდომების ღიაობის მაღალი სტანდარტებია დანერგილი. ზოგადად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები ბრიტანეთში დარეგულირებულია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტით, თუმცა აღნიშნული არ ვრცელდება ხელისუფლების სასამართლო შტოზე.[10] კერძოდ, დოკუმენტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ

[7] https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment.
[8] https://www.pacer.gov/
[9] Report on Access to Judicial Information, Open Sociality Justice Initiative, pg.30, para.2.
[10] ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტი, დიდი ბრიტანეთი, სექცია 32.1 (c), http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/United-Kingdom.pdf

ის არ გავრცელდება ისეთ დოკუმენტებზე, რომელიც ინახება სასამართლოში ან შექმნილია სასამართლოსა და მისი ადმინისტრაციის მოხელეების მიერ.

დიდ ბრიტანეთში სასამართლო პროცესების ხელმისაწვდომობის საკითხები დარეგულირებულია სასამართლო საპროცესო კანონმდებლობით.[11] სამოქალაქო ისევე, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, **რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც გამოცხადდა საჯაროდ სასამართლო სხდომაზე.**[12] კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვტილებათა ხელმისაწვდომობის ზოგადი მაღალი სტანდარტი, რომლის თანახმადაც ნებისმიერ დაინტრესებულ პირს შეუძლია მიიღოს ისინი სრულყოფილი სახით. აღსანიშნავია, რომ მოცემული ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი. **კერძოდ, პროცესის მონაწილეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე და მოითხოვოს მისი ვინაობის დაფარვა.** აღნიშნული შუამდგომლობა უნდა იყოს კარგად დასაბუთებული. პროცესის მონაწილეების, დაზარალებულის თუ ბრალდებულის ვინაობა შესაძლებელია დაიფაროს თავად მოსამართლის ინიციატივით, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მსგავსი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული ისეთი არგუმენტაციით, როგორიცაა არასრულწლოვანთა ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, საჯარო ინტერესი ან სხვათა უფლებები.

კანადა

მსგავსად ზემოთ განხილული ქვეყნებისა, სასამართლო პროცესების ღიაობისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა **კანადა. პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება სრული სახით პროაქტიულად ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე.**[13]

კანადის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიის პირველი სექცია ადგენს, რომ **დოკუმენტით განმტკიცებული უფლებების შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა აუცილებელია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე**. კონსტიტუციის 1-ლი სექციის მეორე ნაწილით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, ხოლო 24-ე მუხლით კი სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. სწორედ აღიშნული პრინციპებიდან გამომდინარეობს სასამართლო პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის.

[11] Access to Judicial Information Report, გვ.36.
[12] Civil Procedure Code, სექცია 5.4C(a).
[13] https://www.canlii.org/en/.

უნდა ითქვას, რომ **სასამართლო დოკუმენტებისადმი თუ პროცესისადმი წვდომა შესაძლებელია შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლი დაასაბუთებს აღნიშნული აუცილებლობას**. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, მსგავსი სახის შუამდგომლობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე მოთხოვნას. **შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებლი, არ უნდა არსებობდეს მიზნის მიღწევის სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალება და გადახვევა გამჭვირვალობის ზოგადი წესიდან უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. ამასთან მნიშვნელოვანი საფრთხე უნდა ექმნებოდეს სხვათა უფლებებსა და ინტერესებს.**[14]

შვედეთი

შვედეთის კონსტიტუციის თანახმად, **სასამართლო პროცესები ღიაა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა დაესწროს მათ**.[15] შვედეთის კონსტიტუციით განმტკიცებულია ინფორმაციის თავისუფლების პრინციპი, რომლის თანახმადაც შვედეთის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვს და მიიღოს საჯარო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური ინფორმაცია.[16] აღნიშნული ჩანაწერი შვედეთის კონსტიტუციაში 1766 წლიდან არსებობს. რაც შეეხება სასამართლო დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებთან წვდომას, მოცემული საკითხი დარეგულირებულია პრესის თავისუფლების შესახებ აქტით, რომელიც აღნიშნავს, რომ **მედიის წარმომადგენლებსა და ფართო საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს სასამართლო დოკუმენტები მათ შორის ინფორმაცია დაკავშირებული კონკრეტულ დავებთან.** მოცემული აქტით არის დარეგულირებული დოკუმენტების მოთხოვნისა და მიღების დამატებითი სტანდარტები. სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებულნი არიან საჯარო ინფორმაციის რეესტრში დაარეგისტრირონ ყველა დოკუმენტი და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადონ ისინი საზოგადოებისთვის. **მოცემული ზოგადი წესიდან გამონაკლის წარმოადგენს ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებასაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, საგადასახადო რეჟიმს, კერძო პირის ინტერესებს თუ დანაშაულის პრევენციას**.

2014 წელს შვედეთში შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომლის გამოყენებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული პირის ნასამართლეობის შესახებ და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები სრული სახით. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ვებ-გვერდი ინტენსიური კრიტიკის ქვეშ მოექცა,

[14] http://www.libelandprivacy.com/medialaw_opencourtprinciple.html.

[15] Ministry of Justice of Sweden, Public Access to Information and Secrecy with Swedish Authorities, ხელმისაწვდომია: http://www.regeringen.se/content/1/c6/03/68/27/b9447d55.pdf.

[16] Constitution of Sweden, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/Sweden.pdf

რის გამოც მან ორჯერ შეწყვიტა მუშაობა, თუმცა დღეის მდგომარეობით ის შეფერხებების გარეშე ფუნქციონირებს. როგორც შვედეთში აღნიშნავენ აღნიშნული ვებ-გვერდის არსებობა გამართლებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპით, რომელიც შვედეთის ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. როგორც ეს არა ერთი ნაშრომშია მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის პრინციპი წარმოადგენს შვედეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების სიამაყის წყაროს.[17]

სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიდგომა განსხვავდება საქალაქო სასამართლოების მიხედვით. სადაც ინფორმაცია დაცულია ადგილზე, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მონაცემებს სასამართლოში. განსხვავებული მიდგომაა უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში, **რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებებს აქვეყნებს სპეციალურ ჟურნალში**.[18]

ესტონეთი

ესტონეთის კანონში საჯარო ინფორმაციის შესახებ აღნიშნულია, რომ **სასამართლოს მიერ მიღებული და ძალაში შესული ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია გასაცნობად ფართო საზოგადოებისთვის**.[19] მოცემულ ვებ-გვერდთან დაკავშირებული სხვა დეტალები მოწესრიგებულია ესტონეთის სასამართლო აქტით რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლოთა საინფორმაციო სისტემა (KIS) არის სხელმწიფო მონაცემთა ბაზა დაფუძნებული იუსტიციის სამინისტროს მიერ. მონაცემთა ბაზის შექმნის მიზანია სასამართლო საქმიანობის ორგანიზება, სტატისტიკის წარმოება და სასამართლო გადაწყვეტილებათა სისტემატიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[20] ბაზის ადმინისტრირებას ახდენს ესტონეთის იუსტიციის სამინისტრო, თუმცა, ვებ-გვერდზე გადაწყვეტილებათა ატვირთვა უშუალოდ იმ სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს რომლის მიერაც იქნა მიღებული დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთიან, მომხმარებელზე ორიენტირებულ ბაზაში გამოქვეყნება, წარმოადგენს ესტონეთის მთავრობის მიერ არჩეული ელექტრონული გამჭვირვალობის მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებას. აღნიშნული სხვათა შორის ასევე მოიცავს e-file-ს, რომლის საშუალებითაც დავის მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ დოკუმენტები სასამართლოში ელექტრონულად, მოქალაქეთა ჩართულობაზე დაფუძნებულ

[17] Transparency in the EU Council of Ministers: An Institutional Analysis, ხელმისაწვდომია: http://dare.uva.nl/document/2/135720; M. Pasquier and J.-P. Villeneuve, 'Organizational barriers to transparency: a typology and analysis of organizational behaviour tending to prevent or restrict access to information', International Review of Administrative Sciences 147.

[18] http://www.domstol.se/templates/DV_InfoPage____2323.aspx

[19] Art.28.1(29), Public Information Act of Estonia, ხელმისაწვდომია: http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Estonia.pdf.

[20] Courts Act of Estonia, ხელმისაწვდომია: https://www.riigiteataja.ee/en/eli/511072014010/consolide

ქსელს (participation web), რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება კანონპროექტებზე ან წარადგინონ პეტიციები და სხვ.[21]

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონი ადგენს, რომ **გადაწყვეტილებები ქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალიწინებით**. საკითხი უფრო დეტალურად მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობით. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილებები ქვეყნდება სრულად და იფარება მხოლოდ პროცესის მონაწილეთა (დაზარალებული, მოწმეები) და არა ბრალდებულის მონაცემები.** ესტონეთის ყველა მოქალაქეს ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით, აქვს საშუალება მიიღოს ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ინფორმაცია ნებისმიერი პირის ნასამართლეობის შესახებ. სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში გადაწყვეტილებები ქვეყნდება კერძო პირთა ვინაობის დაფარვით, თუმცა მათი იდენტიფიცირება მაინც არის შესაძლებელი, იქიდან გამომდინარე, რომ საქმეთა განრიგში ყოველთვის ხდება დავის მხარეთა სახელებისა და გვარების გამოქვეყნება, ხოლო სხდომები ღიაა დასასწრებად ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.[22]

ბოსნია და ჰერცოგოვინა

2001 წელს ბოსნია და ჰერცოგოვინას მიერ მიღებულ იქნა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტი. აღნიშნული კანონის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს და მოითხოვოს ინფორმაცია დაცული ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოში. აღნიშნული დათქმა, ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს შესაძლებელია უარი ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს, რომ მოთხოვნილ ინფორმაციის გაცემა ზიანს მიაყენებს სახელმწიფო თავდაცვას და უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს, დანაშაულის პრევენციას ან გამოვლენას, კომერციული ან პერსონალური საიდუმლოების დაცვას.[23] აღნიშნული ვრცელდება, როგორ აღმასრულებელი ისე სასამართლო ხელისუფლების შტოებზე.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებათა ონლაინ ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბოსნიას და ჰერცოგოვინა პროგრესული პრაქტიკით გამოირჩევა. კერძოდ, **ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება ხდება შესაბამის ვებ-გვერდზე, სრული სახით.**[24]

---

[21] Overview of the Publication of Court Judgments in Estonia, Merit Ulvik, pg.3, ხელმისაწვდომია: http://www.ekint.org/ekint_files/File/tanulmanyok/bhgy/overview%20of%20the%20publication%20of%20court%20judgements%20in%20estonia_merit%20ulvik.pdf.

[22] Overview of the Publication of Court Judgments in Estonia, გვ.18.

[23] Freedom Of Access To Information Act For Bosnia And Herzegovina Art.6, http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Bosnia-and-Herzegovina.pdf

[24] http://www.sudbih.gov.ba/?jezik=e

კვიპროსი

კვიპროსში გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ხდება სრული სახით, მხარეების სახელებისა და გვარების დაფარვის გარეშე. გადაწყვეტილებათა მარტივი მოძიებისთვის კი შექმნილია მომხმარებელზე ორიენტიერებული საძიებო სისტემა.[25]

მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კვიპროსის ეროვნული კანონმდებლობით, არ არის განმტკიცებული ფართო საზოგადოების უფლება მოითხოვოს და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებები.[26] კანონმდებლობა არ იცნობს არც სასამართლოთა ვალდებულებას გამოაქვეყნონ მიღებული გადაწყვეტილებები ონლაინ. არ არსებობს არც შესაბამისი ორგანო, რომელიც ნებისმიერ დაინტერსებულ პირს გაუწევდა დახმარებას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მოძიებისა თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შესაბამისი განცხადების ჩამოყალიბებაში.

სომხეთი

სომხეთის კანონმდებლობის თანახმად, **სასამართლო სხდომები ზოგადად ღიაა დასწრებისთვის მედიისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის**. სასამართლო სხდომა შესაძლებელია დაიხუროს მხოლოდ არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მორალის, საჯარო წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, კერძო პირთა და არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე.[27]

აღსანიშნავია, რომ სომხეთის რაიონულ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოთა გადაწყვეტილებები ქვეყნდება პროაქტიულად, შესაბამისად ისინი ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. პორტალზე ქვეყნდება, ასევე სხდომათა დღის წესრიგი, შესაძლებელია სასამართლო ბაჟის გადახდა და სხვა სერვისებით სარგებლობა. **სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის სრული სახით მხარეთა პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე.**[28] ამასთან გადაწყვეტილებები ბეჭდური სახით არის ხელმისაწვდომი შესაბამის სასამართლოთა კანცელარიებში.

შექმნილია სასამართლო გადაწყვტილებათა ონლაინ ბაზა ცალკე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნებისთვის.[29]

---

[25] http://www.cylaw.org/

[26] Accessibility Of Judicial Decisions In The EBRD's Countries Of Operations: A Comparative Review, http://2015.lit-ebrd.com/articles/article1.html

[27] Judicial Reform Index for Armenia, December 2012, Pg. 64, factor 23, http://www.americanbar.org/content/dam/aba/directories/roli/armenia/armenia_jri_vol_iv_english_12_2012.authcheckdam.pdf

[28] Accessibility Of Judicial Decisions In The EBRD's Countries Of Operations: A Comparative Review, http://2015.lit-ebrd.com/articles/article1.html

[29] Judicial Reform Index for Armenia, December 2012, Pg. 65, factor 24, http://www.americanbar.org/content/dam/aba/directories/roli/armenia/armenia_jri_vol_iv_english_12_2012.authcheckdam.pdf

დასკვნა

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობისა და პროცესების ღიაობის ზემოთ განხილული საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ **შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი კერძო პირთა ინტერესებისა და უფლებების შელახვის გარეშე**. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ისევე, როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, თავად უზრუნველყოფენ მათ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების სრული სახით ხელმისაწვდომობას და პროაქტიულად გამოქვეყნებას სპეციალურ ვებ-პორტალზე. შესაბამისად, მსგავსი სტანდარტის საქართველოში დანერგვის შემთხვევაში ის ვერ გახდება კრიტიკის საგანი, არამედ, აღქმული იქნება, როგორც სასამართლო სისტემის ღიაობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. ბუნებრივია, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ ზღუდავს ხელმომწერ სახელმწიფოებს დაადგინონ საკუთარ ქვეყნებში სასამართლო სისტემის საქვეყნოობის და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი. ნაცვლად ამისა, სხვადასხვა საერთაშირისო დოკუმენტის ტექსტი, ისევე, როგორ პრეცედენტული სამართალი, ხაზს უსვამს შესაბამისი ბალანსის დადგენის აუცილებლობას კერძო და საჯარო ინტერესს შორის.

მართლმსაჯულების სისტემისადმი საქართველოში არსებული მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის პირობებში, IDFI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და პროცესების ხელმისაწვდომობის ზოგადად მაღალი სტანდარტი, როდესაც მისი შეზღუდვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში, გარდაუვალი აუცილებლობისა და შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში. ვფიქრობთ, რომ სასამართლო გადაწვეტილება უნდა იყო ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამის ვებ-გვერდზე პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის გარეშე. აღნიშნული წესიდან შესაძლებელია დაიშვას მხოლოდ კანონით დადგენილი გამონაკლისები. სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოებისა თუ კონფიდენციალური ინფორმაციის დაფარვა **შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მხარეთა მოტივირებული შუამდგომლობით ან მოსამართლის ინიციატივით.** ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური თუ სხვა ინფორმაციის ნაწილობრივი დაფარვა ვერასდროს უზრუნველყოფს პირთა მონაცემების ანონიმურობის სრულ დაცვას, რადგან პირის თუ გარემოებების ირიბი იდენტიფიკაციის გამორიცხვა მაინც შეუძლებელი იქნება. ამავე დროს, ინსტიტუციურად შემდგარი ქვეყნებისგან განსხვავებით, ისეთი მყიფე დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, გაცილებით მაღალი საჯაროობის სტანდარტის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სწორედ საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებით შეიძლება ხელისუფლების ყველა შტოს შეცდომების თუ გადაცდომების პრევენცია და ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფა.